აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 27

05 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩენო კომისია **ადგენს:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის:

ა) 2008 წლის 05 აგვისტოს №7 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე;
ბ) 2008 წლის 05 აგვისტოს №8 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ;
გ) 2008 წლის 05 აგვისტოს №9 განკარგულება - აჭარის ავტნომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე;
დ) 2008 წლის 05 აგვისტოს №11 განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

ე) 2008 წლის 07 აგვისტოს №12 განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმის დამტკიცების შესახებ;

ვ) 2008 წლის 07 აგვისტოს №13 - განკარგულება უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ;

ზ) 2008 წლის 07 აგვისტოს №14 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ;

თ) 2008 წლის 07 აგვისტოს №15 განკარგულება - უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28^1 მუხლით განსაზღვრულ საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ;

ი) 2008 წლის 07 აგვისტოს №16 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვის შესახებ;

კ) 2008 წლის 08 აგვისტოს №17 განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

ლ) 2008 წლის 08 აგვისტოს №18 განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოყენებული სახსრების ანგარიშების ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;

მ) 2008 წლის 08 აგვისტოს №19 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

ნ) 2008 წლის 08 აგვისტოს №20 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

ო) 2008 წლის 08 აგვისტოს №21 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

პ) 2008 წლის 08 აგვისტოს №22 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

ჟ) 2008 წლის 08 აგვისტოს №23 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

რ) 2008 წლის 08 აგვისტოს №24 განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

ს) 2008 წლის 08 აგვისტოს №25 განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია